

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. საბაკალავრო პროგრამის დასახელება - ფსიქოლოგია
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ფსიქოლოგიის ბაკალავრი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - საბაკალავრო პროგრამის მოცულობა შეადგენს მთლიანობაში 240 (ECTS) კრედიტს, ხანგრძლივობა 8 სემესტრი, სემესტრში 30 კრედიტი.
4. სწავლების ენა - ქართული
5. პროგრამის ხელმძღვანელი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - კახი კოპალიანი

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ✓ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
- ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ✓ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილზელი საგნის ჩაბარება ისტორიაში;
- ✓ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

7. პროგრამის მიზანი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა კაცობრიობის მთავარი ღირებულებების - განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის მაღალზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის და საუნივერსიტეტო განათლების მქონე სხვადასხვა აკადემიური დონის კურსდამთავრებულების მომზადებისათვის მიზნად ისახავს სტუდენტს მისცეს ისეთი განათლება, რომელიც მოიცავს სპეციალობის თეორიული საფუძვლებისა და მეთოდების იმ დონით ცოდნას, რაც აუცილებელია შემდგომში, კურსდამთავრებულის მიერ მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებისათვის. შესაბამისად ფსიქოლოგიური მეცნიერების სწავლების მიზნები ბაკალავრიატში მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს:

- სტუდენტებს მისცეს კარგი თეორიული მომზადება;
- სტუდენტს მისცეს ფსიქოლოგიის თანამედროვე მეთოდების ცოდნა და მათი გამოყენების უნარ-ჩვევები;
- კრიტიკული აზროვნება;
- უზრუნველყოს ფსიქოლოგიაში პროფესიული კარიერის გასაკეთებლად აუცილებელი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით;
- ასწავლოს შესაბამისი პროფესიული ქცევისა და ეთიკის სტანდარტები.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა აგებულია ფსიქოლოგების მიმართ იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც შრომის ბაზრის კონიუნქტურის შესწავლამ აჩვენა: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ჩატარების და კვლევის მასალის დამუშავების უნარი თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით, ადამიანური რესურსების მართვის უნარი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები.

საბაკალავრო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პოტენციური დამსაქმებლების რეკომენდაციები და გარემოში მიმდინარე ცვლილებებისადმი ადაპტირების შესაძლებლობები.

8. სწავლის შედეგები

- **ცოდნა და გაცნობიერება** - კურსდამთავრებულს აქვს ფსიქოლოგიის სფეროს ფართო ცოდნა, შეუძლია ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიური ანალიზი და მასთან დაკავშირებული ამხსნელი თეორიული მიდგომებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება; ასევე შეუძლია ფსიქოლოგიის სფეროში პრობლემის დასმა, ექსპერიმენტების ჩატარება და შედეგების განზოგადება დასკვნების სახით და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. გაცნობიერებული აქვს ადამიანის ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობის კანონზომიერებები და პიროვნების ფსიქიკური თავისებურებები.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - შეუძლია ფსიქიკური პრობლემების შესწავლა, შეფასება; აქვს სხვადასხვა ფსიქიკურ მოვლენათა დიფერენცირების უნარი; იცის ის ფსიქოლოგიური ხერხები და მეთოდები, რომლებიც მიზანდასახულად შეიძლება გამოიყენოს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაში წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- **დასკვნის უნარი** - შეუძლია სხვადასხვა ფსიქიკური მოვლენების გააზრება, მათ შესახებ მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და შესაბამისი განმარტებების გაკეთება; აქვს კონკრეტულ პრობლემურ სიტუაციაში დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი.
- **კომუნიკაციის უნარი** - შეუძლია უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენის გამოყენება კომუნიკაციის დროს, უცხოენოვანი ლიტერატურის მოძიება განსახილველად და შესასწავლად; აქვს თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობების, გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებისა და ინფორმაციული მენეჯმენტის უნარი. შეუძლია სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღება და გაანალიზება, წერილობითი ტექსტების მომზადება, საჯარო განხილვებში მონაწილეობა, აქვს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის გამოცდილება.
- **სწავლის უნარი** - აქვს სასწავლო პროცესის სტრატეგიის, დროის ორგანიზებისა და სწავლის ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც დამოუკიდებელი სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.
- **ღირებულებები** - ისწრაფის ინტელექტუალური, ზნეობრივი და ესთეტიკური ღირებულებების ათვისებისკენ; პასუხისმგებლობით მონაწილეობს სულირი ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფის მათ დასამკვიდრებლად.

9. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VII I	
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 69 კრედიტი														
უცხო ენა - 18 კრედიტი						6	6	6						
ა)	ინგლისური ენა - დამწყებთათვის <i>(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)</i>													
1.	ინგლისური ენა I (Elementary A1)	ENGL B 001	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
2.	ინგლისური ენა II (Pre-Intermediate A2)	ENGL B 002	6	65	85		6							ENGL B 001
3.	ინგლისური ენა III (Intermediate B 1)	ENGL B 003	6	65	85			6						ENGL B 002
ბ)	უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით <i>(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)</i>													
1.	უცხო ენა I - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
2.	უცხო ენა II - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	6	65	85		6							ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011
3.	უცხო ენა III - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013	6	65	85			6						ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012
4.	დარგობრივი უცხო ენა - (ინგლისური,	ENGL B 021	3	35	40				3					ENGL B 003/ENGL B 013

10. დამატებითი (Minor) პროგრამა - ფსიქოლოგია

- **პროგრამის დასახელება** - დამატებითი პროგრამა ფსიქოლოგია
- **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** - პროგრამის მოცულობა შეადგენს მთლიანობაში 60 (ECTS) კრედიტს, ხანგრძლივობა 5 (IV-VIII) სემესტრი , სემესტრში 12 კრედიტი
- **სწავლების ენა** - ქართული
- **დამატებით პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**
პროგრამაზე დაიშვება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი სხვა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, რომლის სტრუქტურაც ითვალისწინებს დამატებით პროგრამას.
- **პროგრამის მიზანი**
ფსიქოლოგიის დამატებითი (Minor) პროგრამის ზოგადი მიზანია ძირითად სპეციალობასთან ერთად სტუდენტს მისცეს ფსიქოლოგიისათვის დამახასიათებელი კონცეფციებისა და მეთოდების ზოგადი ცოდნა. პროგრამა აძლევს სტუდენტებს ფსიქოლოგიის შესახებ იმ მინიმალურ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რომელიც მათთვის აუცილებელია ამ სფეროში საქმიანობისათვის. ასევე სტუდენტებს ეძლევათ კარიერული შესაძლებლობების გაფართოების და შემდგომში კვალიფიკაციის შეცვლის საშუალება.

- **სწავლის შედეგები**

- **ცოდნა და გაცნობიერება** - სტუდენტს მიღებული ცოდნის საფუძველზე ფსიქოლოგიის სფეროში აქვს ზოგადი ცოდნა, შეუძლია ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიური ანალიზი; კარგად ერკვევა ადამიანის ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობის კანონზომიერებებში და პიროვნების ფსიქიკურ თავისებურებებში.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - სტუდენტი ფლობს ფსიქოლოგიური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევებს; შეუძლია ფსიქიკური პრობლემების შესწავლა, შეფასება; აქვს სხვადასხვა ფსიქიკურ მოვლენათა დიფერენცირების უნარი.
- **დასკვნის უნარი** - შეუძლია სხვადასხვა ფსიქიკური მოვლენების გააზრება, მათი შეჯერება და განსაზღვრა; კონკრეტულ პრობლემატურ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღება, პრობლემის გადაჭრა.
- **კომუნიკაციის უნარი** - შეუძლია სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღება და მათი გაანალიზება, წერილობითი ტექსტების მომზადება, საჯარო განხილვებში მონაწილეობა, აქვს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფებში მუშაობის გამოცდილება.
- **სწავლის უნარი** - აქვს სასწავლო პროცესის სტრატეგიის, დროის ორგანიზებისა და სწავლის ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც დამოუკიდებელი სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.
- **ღირებულებები** - ისწრაფის ინტელექტუალური, ზნეობრივი და ესთეტიკური ღირებულებების ათვისებისკენ; გამოუმუშავდა შესასრულებელი სამუშაოსადმი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება; მონაწილეობს სულირი ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფის მათ დასამკვიდრებლად.

• დამატებითი (Minor) პროგრამის სტრუქტურა

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი														
1.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	PSYC B102	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
2.	განვითარების ფსიქოლოგია	PSYC B104	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
3.	სოციალური ფსიქოლოგია	PSYC B103	6	65	85					6				PSYC B102
4.	ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები	PSYC B 130	6	65	85						6			PSYC B102
5.	ფსიქოკონსულტირების საფუძვლები	PSYC B109	6	65	85							6		PSYC B102
6.	ფსიქოლოგიის ისტორია	PSYC B105	6	65	85							6		PSYC B102
7.	განწყობის ფსიქოლოგია	PSYC B111	6	65	85								6	PSYC B102
არჩევითი კურსები - 18 კრედიტი														
1.	- ურთიერთობის ფსიქოლოგია - განათლების ფსიქოლოგია	- PSYC B114 - PSYC B115	6	65	85					6				PSYC B102
2.	- იურიდიული ფსიქოლოგია - ეკონომიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები	- PSYC B128 - PSYC B129	6	65	85						6			PSYC B102
3.	- ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები - ფსიქოთერაპიის შესავალი	- PSYC B120 - PSYC B 121	6	65	85								6	PSYC B102
ს უ ლ - 60 კრედიტი									12	12	12	12	12	